

საქართველოს კანონი

„სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლისა და „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავს კანონით დადგენილ სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით დაწესებული მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, მათი გადახდევინების წესსა და ვადებს.

მუხლი 2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ცნება

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივ ბიუჯეტში, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს იხდიან ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული პირები ამავე კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

მუხლი 3. მოსაკრებლის გადამხდელი

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელად ითვლებიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას კაზინოებით (სამორინეებით), აზარტული და სხვა სათამაშო ბიზნესით და ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელებს წარმოადგენენ აგრეთვე ლატარიის მომწოდებელი პირები (ორგანიზატორები), რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეროვნული ლატარიის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენამდე.

მუხლი 4. მოსაკრებლის ობიექტი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტია:

ა) აზარტული და მომგებიანი თამაშებისათვის გამოყენებული სათამაშო მაგიდები, სათამაშო აპარატები;

ბ) ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს საღაროები (სპეციალურად მოწყობილი ადგილი, სადაც მოღარის ან/და სპეციალური აპარატის ან სხვა საშუალებით ხორციელდება ფსონის მიღება ან/და მოგების გაცემა);

გ) წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა;

ე) ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები.

მუხლი 5. მოსაკრებლის განაკვეთი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება ხდება სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით და განისაზღვრება:

ა) კაზინოს (სამორინეს) თითოეულ სათამაშო მაგიდაზე – კვარტალში 15 000-დან 30 000 ლარამდე;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 150-დან 600 ლარამდე;

გ) ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ საღაროზე – კვარტალში 900-დან 1800 ლარამდე;

დ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10 პროცენტი;

ე) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე – კვარტალში 6000-დან 30 000 ლარამდე;

ვ) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების არა უმეტეს 20 პროცენტისა.

მუხლი 6. მოსაკრებლის ანგარიშგება და გადახდის წესი

1. წამახალისებელი გათამაშების მომწოდებნი (ორგანიზატორები) ვალდებული არიან, ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებში ყოველკვარტლურად წარადგინონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია და გადაიხადონ მოსაკრებელი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2. წამახალისებელი გათამაშების მომწოდებნი (ორგანიზატორი) პირის ყოველკვარტალური მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშო კვარტალში გათამაშებული საპრიზო ფონდის მიხედვით. ამასთან, წამახალისებელი გათამაშების ბოლო საანგარიშო კვარტალში მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საპრიზო ფონდის ნარჩენი ღირებულებით (თანხით).

3. სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობის მომწოდებნი (ორგანიზატორები) ვალდებული არიან, ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებში ყველკვარტლურად წარადგინონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია და გადაიხადონ მოსაკრებელი არა უგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

4. კაზინოს (სამორინეს) მაგიდების, სათამაშო აპარატებისა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს საღაროების მოწოდებისა თამაშების ორგანიზატორები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს იხდიან მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შექმნისას.

5. ამ თავის მიზნებისათვის მოსაკრებლის გადახდის ნიშანში იგულისხმება თამაშების მოწოდების დროს სათამაშო მაგიდებსა და სათამაშო აპარატებზე, ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს საღაროებზე მისამაგრებელი ნიშანი, რომელიც ადასტურებს მოსაკრებლის გადახდას და თამაშების მომწოდების უფლებას თამაშების მოწოდების ადგილებზე სათამაშო მაგიდებისა და სათამაშო აპარატების დადგმასა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს საღაროების მოწოდებაზე.

6. მოსაკრებლის გადახდის ნიშანი უნდა შეიცავდეს:

- ა) კოდს, რომლის განმეორება აკრძალულია;
- ბ) მოსაკრებლით დაბეგვრის პერიოდს;
- გ) განსხვავებულ ფერს სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით.

7. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების ესკიზს ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

8. თამაშების მომწოდებნი (ორგანიზატორი) მოსაკრებლის გადახდის ნიშანს იძენს დაბეგვრის ობიექტის ფაქტობრივი განთავსების ტერიტორიაზე მოქმედი მოსაკრებლის განაკვეთის მიხედვით შესაბამის საგადასახადო ინსპექციაში, საანგარიშო პერიოდის (კვარტლის) დაწყებამდე.

9. მოსაკრებლის გადახდის ნიშანი რეგისტრაციაში ტარდება შესაბამის საგადასახადო ინსპექციაში, თამაშების მომწოდების (ორგანიზატორის) სახელზე.

10. თამაშების მომწოდებნი (ორგანიზატორები) მოსაკრებლის გადახდის ნიშანს ამაგრებენ სათამაშო მაგიდებზე, სათამაშო აპარატებსა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს საღაროების თვალსაჩინო ადგილას, საანგარიშო კვარტლის პირველ სამუშაო დღეს და ხსნიან ყოველი საანგარიშო კვარტლის ბოლო სამუშაო დღეს.

11. მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შექმნის, რეგისტრაციის, დამაგრებისა და დაზიანებული ნიშნების შეცვლის, აგრეთვე უმოქმედო დაბეგვრის ობიექტების დალუქვის წესებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

12. ლატარიის მომწოდებნი (ორგანიზატორები) ვალდებული არიან ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებში ყოველკვარტალურად წარადგინონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია, და გადაიხადონ საგადასახადო არა უგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მუხლი 7. მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირება

1. ამ კანონით განსაზღვრული მოსაკრებლების გადახდის ადმინისტრირება ევალებათ საგადასახადო ორგანოებს.

2. საგადასახადო ორგანოები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის IV-V კარებით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა

ამ კანონის დარღვევისათვის მოსაკრებლის გადამხდელს დაეკისრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის VII კარით განსაზღვრული სანქციები და სხვა პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

ამ კანონის მე-4 მუხლის „ე“, მე-5 მუხლის „ვ“ და მე-6 მუხლის მე-12 პუნქტები ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეროვნული ლატარიის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენის შემდეგ.

მუხლი 12. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი